

წელიწადი მეომხე

წელიწადი მეომხე

სამეურნეო უურნალი

გოსავალი



მარტი 1.

№ 5.

შინაარსი:

ვ. რცხილაძე	სანატრელი ქვეყანა (გარეულის თხზულებიდან)	3
გ. ნახუცრიშვილი	სენილის გასწვლის სხვადასხვა დაბინძურება	6
ვ. შ — ელი	სელოფენური სასუქები	8
პროფ. გენრი	გვება და საგვებავები	11
„მოსავალი“-ს წარმო- მადგენელი	ღონდლის ბაზარი	14

საყურადღებო ცნობები:

1) ყაზობის წინაღმდეგი საშუალება, — 2) რა ხნისა უნდა გახდეს საქონელი, რომ სამაკებლად გაიშვას, — 3) რამდენი ღებალი უნდა მიეცეს მამალს მოსავლე-ლად, — 4) უკეთესი დრო სამაკებლად, — 5) რამდენ ხანს არიან ცხოველები მაკენი, — 6) რამდენ დღეზე სწევავს შინაური ფრინველი კვერცხებს. — 7) როგორი სითბო უნდა საქონელს 15—16

განცხადებანი 16

უურნალი წელიწადში ღირს — 3 მანეთი. მისამართი: Тифлиς, Варятинская 5.



საქართველოს მთავრობის განკარგულებაში

საქართველოს მთავრობის განკარგულებაში

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში იღებდნენ მონაწილეობას: — ანაწილი ვ., ანაწილი ბ., ანაწილი ი., გულბათიშვილი ვ., გადმოსწილი ბ., გვარამაძე ილი., გორთაშვილი დ., გამხარაშვილი გ., თაქთაქიშვილი გ., იოსელიანი ე., კახელიძე ი., მჭედლიშვილი ვ., მელია პ., მდივანი დ., შახაბელი ა., მჩაბელი ი., ნახუარიშვილი გ., როლოვი ა., რუსიშვილი ა., რცხილაძე ვ., ქუთათელიძე ი., ყავრიშვილი ნ., ჩივაძე ე., ჩხეიძე უ., ცხადაძე გ., დ—ძე დ., მღ. ჟალიაშვილი, წ—ძე აპ., ხეთაგური ს., შ—ელი ვ., შენგელია ვ.

რედაქცია მოვლის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საშუალებოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან განიტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაუბრუნდება თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაწილისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრეთვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექმნა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (გენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **თეთრი**.

წლიური აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით**. განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

რედაქცია ჟურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს **გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი **პ. ი. რცხილაძე**



სანატრელი ქვეყანა

(გარეულის თხზულებიდან)

ახალი მიწების უმეანა

ამერიკელების ხსოვნიდან ჯერაც არ ამოშლილა ის სურათი, რომელსაც დახატავდა ხოლმე გეოგრაფიის მასწავლებელი როცა უხსნიდა თავის მოწაფეებს, თუ რას ნიშნავს მათ სამშობლო ქვეყნის კარტაზე წერტილებით შემოვლელი ადგილი შუაში ზედწარწერით: „ამერიკის დიდი უდაბნო“.

მაღლა ლურჯი ცა მუდამ მოწმენდილი, ზედ მოკაშკაშე ცხარე მზე, დაბლა გაფიცებული ქვიშა... ქვიშა დაუსრულებელი, აქა-იქ პალმის ხეების კორომნი, განუწყვეტელი ქარვანი აქლემებისა, მგზავნი არაქათ გამოლეულნი, რომელნიც შეხარიან მირაჟად მოვლენილს ახლო მდებარე წყალთა კადულებს, სადაც, ჰგონიათ, სიამოვნებით დაისვენებენ... აი ის მწვავი სუსხით ნაქარგი სურათი, რომელიც მიუხედავად თავის სიმკაცრისა მაინც წარმტაცი იყო ბავშვის გონებისათვის და ყველა იმას ფიქრობდა: ნეტა ოდესმე მოესწრობოდა ვანმე მათგანი ასეთ მოგზაურობას თუ არა.

წერტილებით განსაზღვრული უდაბნო ადგილები, რომელიც ამ ერთი თაობის წინ სამარის მზგავს ბნელ უკუშეთად ითვლებოდნენ, დღეს მწვანე ფიანდაზად აქვთ გარდაქცეული სანატრელ ქვეყნელებს. ლამის არის ორმოცდაათ მილიონამდე ქცევა ადგილი მთლად წაგლიჯონ უმწეო ბუნებას და თავიანთ სურვილისამებრ ააყვავონ ძალისძალად. როგორც სველი ღრუბე-

ლით წაშალოთ ხის დაფაზედ დასმული ცარციით ნიშნები, ისე შლიან დღეს და ავიწროებენ სანატრელ ქვეყნის მეურნენი ამ უდაბნოთა საზღვრებს.

მერე—იკითხავთ,—როგორ ანერგავით ახერხებენ ამას?

ჰპირველესთაგანი საშუალება ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, წყლის არხებით გაყვანა უნდა ყოფილიყო. ხოლო არხები იგი თხოულობდა დიდძალ ფულს. კერძოდ შოვნა ამოდენა ფულისა შეუძლებელი იყო და აი საერთო მართველობამ მოკიდა ამ საქმეს ხელი. მაგრამ მოკიდა ხელი არა საქველმოქმედო მიზნით—ეს დიდი შეურაცხყოფა იქნებოდა თავისუფლების მოყვარულ ხალხის თვითმოქმედებისა, —არამედ იმ აზრით, რომ ამ გზით მიწები სარწყავები გახდებოდნენ და მაღალ ფასებში გაყიდვით ანაზღაურებდნენ დახარჯულს.

17 თიბათვეს 1905 წელს, ესე იგი კონგრესის დადგენილების სამის წლის შემდეგ თრევის და კარზონის მდინარეებიდან დასავლეთ ნევადაში პირველად იქმნა წყალი მიშვებული დიდ უშველებელ სარწყავ არხში, რომლიდანაც სამასორმოცდაათი ათასი ქცევა მიწა ირწყვება მას აქეთ ყოველ წლივ.

როცა შემუშავებული წინადავე გეგმის თანახმად ყველა არხები იქნებიან გაყვანილნი, განა დასთვლის-ლა ვინმე მაშინ იმ სარგებლობას, რაც სანატრელ ქვეყნის მეურნეობას ექმნება ამ მხრივ!

რამდენად ძვირად ღირს წყალი მეურნეობაში, ეს მარტო იმას შეუძლიან წარმოიდგინოს საფსებრით, ვისაც უდაბნო ადგილები აქვს ნანახი. სარწყავი წყალის დიდი მნიშვნელობა იმ დროიდანვეა ნაღალადღევი, როცა აღამიანი მიწის ბატონ-პატრონი შეიქმნა პირველად.

მეორე არა-ნაკლებად საყურადღებო მოვლენა ამ ბრძოლაში იყო პროფესორ გილგარდის გამოკვლევა, რომელიც მოახდინა მან ამ უდაბნოების ნიადაგების შესწავლით.

ამ გამოკვლევებით გამოაშკარავდა, რომ უწყლო ადგილის ნიადაგი ძალიან ღრმად მიდის, რამოდენა სიღრმეზედაც გინდათ შეიძლება მათი დამუშავება, მცენარეებს ღრმად შეუძლიანთ ფესვები გაიზარდონ და მით უზრუნველყოფილნი იყვნენ გოლვის დროს. ამასთანავე გამოკვლეული იქმნა რომელი მცენარენი უნდა დაიზარდნენ ამ ნიადაგებში უწინ, ვიდრე ხეხილი ჩაიყრება. შემდეგ ამისა აღმოჩნდა, რომ მლაშე ნიადაგები ნოციერი ნიადაგები არიან და თუ მცენარეები ვერა ხარობენ ამგვარ ნიადაგში, ეს მხოლოდ იმიტომ რომ მარილების სიჭარბე მათში აბრკოლებს მცენარის გაზრდა-განვითარებას.

მერე აღმოჩნდა ისიც, რომ ეს მარილები გროვდებიან ნიადაგში ოთხიხუთი ფუტის სიღრმეზე მხოლოდ და არამც თუ გაწმენდა მათი ნიადაგიდან, სარწყავი წყალი რომ მიუშვით ზედ, არამედ თვით მათი მოგროვებაც კი და მით უმეტეს მათი ზემოთ ამოწევა შეუძლებელი ხდება, თუ ზედაპირი ნიადაგისა დატული იქნება ზემეტის გაშრობისაგან ნესტის აორთქლების დროს,

რაც ადვილი მისაღწევია, თუ სარწყავი არხები ღრმად იქნებიან გაჭრილნი, რადგან ამ შემთხვევაში ნიადაგის ზედაპირი მშრალად რჩება და მცენარის ფესვებთან კი სინესტე გამოულეველი იქნება.

მრავალგან იქმნა აგრედვე შესწავლილი ნიადაგების წყლები, რათა შეცდომა არ დაეშვათ და მოსარწყავად არ ეხმარათ ისეთი წყალი, რომელიც რგების მაგივრად ვნებას მოუტანდა მცენარეს. ასეთ უფარვის წყლად ითვლება მაგალითად სოდანარევი წყალი, რომლის შესახებ ისიც იქმნა გამოკვლეული, რომ უკეთუ გიპსი შეხვდა ამ წყალს, იგი უვნებელი ხდება მცენარისათვის და შეიძლება სარწყავათ იხმარებოდეს.

მესამე საშუალებათ ამ ახალი მიწების შეძენაში უნდა ჩაითვალოს ურწყავ მიწების დამუშავება შტატ იუტეხაში შემუშავებული წესით.

შტატ იუტეხაში ითვლება 82190 კვ. მილი მიწა. თუნდაც რო, როგორც ფიქრობენ, ათი ათასი კვ. მილი გარდაქციონ აქედან სარწყავ მიწებად, ურწყავი მიწის იმდენი რჩება, რომ აუცილებელივ უნდა დაეყენებინათ და ასე თუ ისე გადაეწყვიტათ ასეთი კითხვა: რა შეიძლება გაკეთდეს ისეთ ურწყავ მიწებზე, სადაც ნიადაგის წყალი სულ უპოვებელია?

პირველ შემდგომ უცნაურ თავგასულობას ამტკიცებდა ასეთი კითხვა. იუტახელნი თითქოს მზისა და სიცხე-პაპანაქების მასხარად აგდებდნენ... მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა რომ ეს ხალხი აღარა ხუმრობს და საკითხის გამოკვლევას შეუდგა, დაიწყეს საქმეჯერ იმითი, რომ საკანონმდებლო კონ-



გრესზე დაადგინეს რთხი საცდელი ფერ-
მის გამართვა ამ უდაბნო ადგილებში
შტატის საზოგადო ხარჯით.

ერთი უმთავრესთაგანი მიზანი ფერ-
მებისა ის იყო რომ გაეგოთ: როგორ
ჩააგროვონ ამ უდაბნო ადგილების ნია-
დაგში შემოდგომით და ზამთარ-ზაფხუ-
ლით ჩამოვარდნილი აქ ცის ნამი, რომ
მცენარეებს ეყოთ საკვებავთ.

როდესაც საშუალება იგი იქმნა ნა-
პოვნი, ახლა საძიებელად ის იყო გამხ-
დარი, თუ როგორ იპოვონ ისეთი მცე-
ნარეები, რომელნიც მოიცემიან უხვ
მოსავალს და იკმარებენ იმ ცოტა წყალს
რაც ამ ნიადაგებში იქმნება შენახული.

გამოკვლევა დაიწყო 1904 წელს.
უპირველესად ყოვლისა ჯერ ამ უდაბნოს
ნიადაგები იქმნა შესწავლილი, შემდეგ
შეუდგნენ თესლის შერჩევას.

პურის, შვრიის, ფეტვის, ქარხლის,
სიმინდის და სხვა მცენარეთა თესლე-
ბიდან და აგრედვე ბოსტნეულების სხვა-
და-სხვა თესლებიდან არჩევდნენ იმნაირ
ჯიშის თესლებს, რომელნიც უფრო ამ-
ტანი იყვნენ გოლვისა.

ყველა ამას მოჰყვა ზედ ის შედეგი,
რომ უდაბნოთ წოდებული წინად, რო-
ცა ცდა იწყობოდა, ადგილები ეხლა
ათასფრათ აყვავებულ ბადებათ არიან
ნაქცევი.

უმწეო ბუნება იუტახელებმა დაჯაბ-
ნეს ურწყავად, უშველებელ სიგძე-
სიგანის უდაბნოები მოისამსახურეს სა-
მოსავლოთ.

სამეურნეო გამოფენამ გამართულმა
„მლაშე ტბად“ წოდებულ ქალაქში სა-
ქვეყნოდ დაამტკიცა რომ ამ უდაბნო
ადგილებში მიწის მოსავალი არაფრით
არ ჩამოუვარდება სხვა ადგილების მო-
სავალს, პირიქით ხშირად სჯობნის კი-

ღვეაც მათ, თუ სიუხვით არა, გემოვნე-
ბითა და სურნელოვანობით მაინც.

მეოთხე საშუალება უვარგი მიწების
სამოსავლოთ გავარგებებისა იყო ლიუ-
ტერ ბერნბაკისაგან შემუშავებული
ახალი ჯიშის კაკტუსი, რომელიც, რო-
გორც საზრდო, გამოსაყენებელია ადა-
მიანისათვისაც და ცხოველებისათვისაც.

კაკტუსი საზოგადოდ უდაბნოს მცე-
ნარეა, მიუდგომელი ადამიანისათვის და
ცხოველებისათვის ეკლებისა გამო.

კაკტუსი ხარობს იმისთანა პირობებ-
შიაც კი, რომელთა ატანა არცერთ სხვა
მცენარეს არ შეუძლიან.

აი ეს მისი გამძლეობა დასახა ბერნ-
ბაკმა ძვირფასად და შეუდგა რამდენიმე
წლის მუშაობას, რათა მიეღო წინად
ყოფილი ეკლიან-ხორკლიანი კაკტუ-
სიდან ახალი უეკლო ჯიშის კაკტუსი
და მასთან ნოყიერიც.

დედამიწის ზურგზე სხვადასხვა ალა-
გას მადამდენაც იზრდებოდა უეკლო,
ანუ უფრო სწორედ რო ესთქვათ, ცო-
ტათი ეკლიანი კაკტუსი, მაგრამ მას
არავითარი სინოყივრე არ ქონდა არც
ადამიანისათვის და არც ცხოველისა-
თვის.

ბერნბაკმა შეაგროვა ყველა ნაირი
ჯიშის კაკტუსები, აარჩია მათგან რამ-
დენიმე ჯიში ეკლიანიც და უეკლოც,
დარგა, ახარა, ზრდიდა ათასობით, არ-
ჩევდა საუკეთესო წარმომადგენლებს
და 1906 წელს მიადწია თავის საწა-
დელს—მიიღო ისეთი ჯიშის კაკტუსი
ნოყიერი, გამოსაყენებელი საზრდოდ
ადამიანისათვისაც და ცხოველებისა-
თვისაც, რომელსაც ძალუძ ყველა
უდაბნო ადგილები ცხოველთა მასაზრ-
დობებელ ბაღათ გარდააქციოს მომა-
ვალში.

ვ. რცხილაძე.

ხეხილის გასხვლის სხვადასხვა დანიშნულება *)

(გაგრძელება)

პირამიდული ფორმა

როგორც წინა წერილში მოვიხსენიეთ, წესიერად გასხვლილი ნამყენიც ყოველთვის ერთნაირი ღონის ყლორტებს არ იძლევა. ყლორტების ასეთი უთანასწორო ზრდა სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას, მაგალითად: მცენარის ავადმყოფობით, ღარიბი ზედაგით, ფესვების დაზიანებით და უფრო ხშირად ნამყენის ტოტების ამა თუ იმ მიმართულებით. მაგალითად ის ყლორტები, რომლებიც ტოტების ბოლოებზე იმყოფებიან და ტოტისავე ატყორცნილი მიმართულება აქვთ სწორე, ესენი საკვებავი წვენიტ გაცილებით მეტს სარგებლობენ, რადგან ფესვებიდან წამოსული საკვებავი წვენი სწორედ ამათკენ მიდის, რადგან ფესვებიდან წამოსული იგი უფრო სწორე გზას რჩეობს და მთელი თავისი ღონით მცენარის ბოლო ორგანოებისაკენ მიიწევს. ამნაირად სულ ძირითა ყლორტებს შედარებით ბევრად ნაკლები საკვებავი ეძლევა, ვიდრე ზემოთებს. მიზეზიც ეს გახლავთ, რომ ტანის გასაზრდელი ყლორტები მომეტებულ შემთხვევაში უფრო თამამად იზრდებიან და სულ ძირისაკენ დალიან სუსტად. ხსენებული მოვლენის თავიდან ასაცილებლად შემდეგ საშუალებას ხმარობენ: გასხვლის დროს, რომელი კოკრებიც კი სუსტები აღმოჩნდებიან, ამ სუსტ კოკრებზე მოდან, დანის ან სხვა იარაღის შემწეობით კანზე ჭრილობას უკეთებენ

(სურათი 1). ასეთი ჭრილობა შეიძლება სუსტ ყლორტებსაც გაუკეთოთ. კანის გაჭრით ქვედან ამავე წვენს გზა ეღობება და ეს შეყენებული საკვებავი კოკრიდან ა გამოსულ ყლორტზე იხარჯება.

ყლორტების უთანასწორო ზრდა და მათი მოვლა ზაფხულში

როდესაც ტანის გასაზრდელი ყლორტი ღონივრად იზრდება და დანარჩენები კი სუსტად, მაშინ ტანის გასაზრდელ ყლორტს როდესაც იგი საკმარის საგრძეს მიიღებს, ხელით ბოლოს მოამტკრევთ და თუ ზედ ხელახლა ყლორტი ამოიხეთქა, ამასაც წვერს მოუტეხავთ. ბოლოების მომტკრევით ღონიერი ყლორტის ზრდა შესამჩნევად ფერხდება და ამავე დროს დაჩაგრული ყლორტები იწყებენ გათამამებას.

2) უკეთუ ტანის გასაზრდელი ყლორტი სუსტად იზრდება და დანარჩენები კი თამამად, მაშინ ამ თამამ ყლორტებსაც ბოლოებს წამტკრევთ.

3) როდესაც ტანის გასაზრდელი ყლორტი არ იზრდება, ან რაიმე მიზეზით გახმა, საჭიროა გამხმარი ყლორტი ამოჭრათ და ზედმეტი ნაჭერი გაუშვათ. ამ დროს ტანის გასაზრდელ ყლორტის საბადლოდ ერთ ახლო მყოფ ყლორტს ამოარჩევთ ზედმეტ ნაჭერზედ ჭილობით აკრავთ.



*) იხ. „მოსავალი“ № 2.



4) ტანის გასაზრდელი ყლორტი თუ გახმა და იმის ახლო შესაფერი ყლორტი არ მოპოვება, მაშინ გამხმარ ყლორტს ძირში ამოსჭრით და პირამიდას გარდაკეთებთ ჯამისმავარ მოყვანილობათ.

5) უკეთუ გვერდის ყლორტები ძალიან გადაზნექილებია და განზედ იზრდებიან, საჭიროა ახლო მისწიოთ და ტანის გასაზრდელ ყლორტზედ მიახათ.

6) ხანდისხან ახლად დარგული ხეები სრულებით არ იზრდებიან და ყლორტების მაგივრად ასეთ ხეებს მხოლოდ მოკლე სანაყოფე შტოები გამოაქვს. ამგვარ მოვლენის მიზეზათ უმათავრესად ფესვების დაზიანება უნდა ჩაითვალოს. უმჯობესია ასეთი დაკოდილი ხეები ამოიღოთ და მათ მაგიერ ახალი ხეხილი დარგოთ.

მეორედ გასხვლა

იმ შემთხვევაში, როდესაც თქვენი ხის ყველა შტოები ერთნაირი ღონისა იქნებიან (იხ. „მოსავალი“-ს № 3, სურათი 5), ხეს ასე გასხლავთ: პირველ რიგის შტოებს თვითეულს 6-7 კოკორზედ დაამოკლებთ და ამავე დროს შტოების ბოლოებზე ზედმეტ ნაჭრებსაც გაუშვებთ.

ვინიცობაა შტოები ერთნაირი ღონისანი არ არიან, მაშინ ღონიერ შტოებს მოკლედ დასხლავთ და სუსტებს გრძლად.

შემდეგ ამისა, პირამიდის მეორე რიგის ტოტებისათვის 6 კოკორს ამოარჩევთ—აქედან მეექვსე კოკორი ტანის გასაზრდელ ყლორტისათვის დარჩება.

არ დაგავიწყდეთ, რომ მეორე რიგის ტოტები პირველ რიგის ტოტებ-

ზედ 1/2 არშინზე უნდა იყვნენ დაშორებულნი.


თუ შეატყუეთ, რომ კოკრები სუსტებია და იმედი არ არის რომ იმათ ღონიერი ყლორტები გამოიტანონ, მაშინ უმჯობესი იქმნება ასეთ კოკრებს ზემოდან დანით ჭრილობა გაუკეთოთ.

მეორედ გასხლული ხე (იხილეთ სურათი 2), როგორც წინა წერილში მოვიხსენიეთ, ყველა ერთნაირი ღონის შტოებს არ იძლევა. ამიტომ შეიძლება შემოდგომამდე სხვადასხვა სანახაობის ხეებს შეხვდეთ:

1) შეიძლება ტანის გასაზრდელი შტო ძალიან თამამი იყოს, აგრედვე პირველ რიგის შტოებიდანაც ზემოთა შტოები უფრო ღონიერები იყვნენ ვიდრე ძირისები. ამ შემთხვევაში ტანის გასაზრდელ შტოს ნახევარ სიგრძეზედ გაჰსხლავთ. ასევე მოექცევით ზემოთა ღონიერ შტოებსაც, მხოლოდ სუსტებს ხელს არ ახლებთ.

2) ტანის გასაზრდელი შტო ძალიან თამამია, ყველა პირველა რიგის შტოები კი სუსტები. აქ ტანის გასაზრდელ შტოს ნახევრად დაამოკლებთ, პირველა რიგის ზემოთა შტოებს ოდნავ, ძირისები კი გაუსხლავი დარჩებიან.

3) ტანის გასასხვლელი შტო პირველი რიგის შტოებზედ სუსტი და მოკ-



ლენა. ამ შემთხვევაში ტანის გასასხვლელ შტოს გაუსხლავს გაუშვებთ და დანარჩენებს კი ერთ სიმაღლეზედ დაამოკლებთ.

4) ტანის გასაზრდელი შტო არ გაზრდილა, პირველა რიგი შტოები კი ღონიერებია. ამ დროს ასე მოიქცევით: პირველა რიგის ზემოთა შტოებიდან იმ შტოს, რომელიც უფრო ახლო იქმნება ტანის გასაზრდელ შტოსთან, სიფრთხილით მისწევთ იმისაკენ და სარზედ ააკრავთ. ამნაირად ეს უკანასკნელი შემდეგში ტანის გასაზრდელ შტოს მაგივრობას გაგიწევთ.

ესლა საერთო შტოს მაგიერ თქვენ დაგრჩებათ მხოლოდ ოთხი შტო, მაშასადამე პირამიდასაც ცალი გვერდი ცარიელი დარჩება. ეს რომ არ მოხდეს, ცარიელ ადგილის მხარესკენ მიქცეულ შტოს გვერდის ყლორს გაუზრდით.

5) ტანის გასაზრდელი შტო განზედ გაზრდილა, ესე იგი გამრუდებულია. ხსენებულ შტოს სარზედ ააკრავთ და შემდეგ ისე გასხლავთ.

6) პირველა რიგის შტოებიდან ზემოთა შტო ძალიან ღონიერია და ამასთან ტანის გასაზრდელ შტოსთანაც ახლო იზრდება. დანარჩენი

შტოები კი შედარებით ბევრად სუსტები არიან.

ასეთ ღონიერ შტოს ერთ კოკორზედ გასხლავთ, მხოლოდ კოკორი გარედან უნდა ჰქონდეს მოქცეული, რომ იქიდან გამოსულმა ყლორტმა განზედ დაიწყოს ზრდა. პირველა რიგის შტოებსაც სწორედ იმ სიმაღლეზედ დაამოკლებთ, რა სიმაღლეზედაც ზემოხსენებული შტო იქნება გასხლული.

თუ ამ პირველ რიგის შტოებში ძალიან სუსტი შტოები შეგხვდებათ, სჯობს იმათ სრულებით ხელი არ ახლოთ.

7) თუ პირველი რიგის შტოები რიცხვით ხუთს აღემატება, მაშინ ქვემოთა ან ზემოთა მხრიდან მეტ შტოებს ძირში ამოათლით.

8) თუ თქვენ პირამიდას პირველ რიგში 5 შტოს მაგიერ მხოლოდ სამი შტო აქვს გამოტანილი, ამ დროს ცარიელი ადგილის შესავსებათ, ესე იგი ზედმეტი ყლორტების მისაღებად ორ შტოს გვერდის კოკორებზედ გასხლავთ.

9) ასევე მოიქცევით, თუ პირამიდას ორი შტოს მეტი არ ექნება.

გ. ნახუცრიშვილი

(შემდეგი იქნება)

ხელოვნური სასუქები

ჩილის გვარჯილა. — ჩილის გვარჯილა ამდიდრებს ნიადაგს აზოტით. ცოტათი ნაცრის ფერი დაკრავს, ენაზე რომ დავიდო აგრილებს ენას.

ჩილის გვარჯილა შესანიშნავად მოქმედობს თიხანარვე ნიადაგებზე, ქვიშნარებზე კი უფრო ნაკლებად იჩენს ზედმოქმედებას.

ძანა რგებს ხორბლეულ მოსავალს პურს, ქერს, ჭვავს, შვრიას და სხვ. რგებს აგრედვე კართოფილსაც, ჭარხალსაც, ხოლო ამ სასუქის ზედგავლენით კართოფილი სახამებელს იკეთებს ნაკლებად, ჭარხალი — შაქარს.

ცერცვმაგვარი მცენარენი უგრებენა, ცერცველა, სამყურა ბალახი და



სხვა ჩილის გვარჯილის გაპატიებას სრულებით არ საჭიროებენ.

ჩილის გვარჯილა მოქმედობს ნიადაგზე მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, ისიც მარტო იმ მცენარეებზე, რომლებსაც ფესვებზედაც იყო დაყრილი.

ჩილის გვარჯილა ნიადაგზე მოყვრამდე უნდა კარგად დაიფხვნას და, რომ ერთნაირად მოგფინოს ნიადაგს, წმინდა ქვიშა ან ფხვიერი მიწა გადაერიოს.

კალინარევი სასუქები. ამ სასუქებს ყველაზე მეტად საჭიროებენ კართოფილი, ქერი, ჭარხალი.

ცერცვმაგვარი მცენარენი და ქვავი ნაკლებად საჭიროებენ კალინარევი სასუქს. პურს და შვრიასაც ეს სასუქები თითქმის არ ესაჭიროებათ სრულყოფით.

სათიბი მინდვრებისათვის გასაპატივებლად კალინარევი სასუქები ძრეელ მარგებელნი არიან.

ეს სასუქი რგებს უფრო ქვიშნარს და ტორფიან ნიადაგებს. თიხნარები იშვიათად საჭიროებენ ამ სასუქს.

კალინარევი სასუქებს ეკუთვნის: 30 პროცენტებიანი კალი ქვა, კაინიტი და ნაცარი.

ნაცარი. ნაცარი უნდებოდა თითო დესეტინაზე 75—200 ფუთი. ნაცარი მოყრილმა ნიადაგმა მალე იცის ზედაპირის შეკვრა. ამიტომ ნაცარი უნდა მოეყაროს ნიადაგს სანამ თესლი დაითესება და ჩაიხნას შიგ. ნაცრის მოქმედება ნიადაგზე გასტანს ხოლმე რამდენიმე წელიწადი.

კალი ქვა და კაინატი. კართოფილს, მაგალითად, უხდებოდა კალი ქვა 30% და არა კაინიტი.

კალი ქვა უნდა ნახნავს გაზაფხულზედვე მიეცეს 4—6 კვირით წინ კართოფილის დათესამდე. თუ მაინცა და მაინც კაინიტი გსურთ იხმაროთ სასუქათ, იგი უნდა შემოდგომითვე მოაყაროთ ნიადაგს და არა გაზაფხულზე. თუ ნიადაგი ტორფიანია, კაინიტი კართოფილისათვის სრულიად არ ივარგებს სასუქად, თუნდაც რომ შემოდგომითვე მოაყაროთ. ამ შემთხვევაში უსათუოდ კალი ქვა უნდა იხმაროთ და არა კაინიტი.

ქერის მოსავალს ორივე სასუქი რგებს—კაინიტიც და კალი ქვაც, ოღონდ კალი ქვა ერთი კვირით წინ უნდა იყოს მოყრილი დათესამდე და კაინიტი კი უფრო ადრე.

შვრიას ნაკლებ ესაჭიროება კალინარევი სასუქები ვიდრე ქერს. თუ მაინცა და მაინც გააპატივებთ შვრიას ამ სასუქებით, უნდა კალი ქვა ერთი კვირით წინ მოაყაროთ ნახნავს დათესამდე, კაინიტი კი შემოდგომითვე.

შემოდგომის ჭვავს ნიადაგი უნდა კალი ქვით გაუპატივდეს კვირანახევრით ან ორი კვირით წინ დათესამდე. თუ კალი ქვის მაგივრად კაინიტი გინდათ იხმაროთ, იგი უნდა ერთი ექვსი კვირით მაინც ადრე მისცეთ ნახნავს დათესამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში რგების მაგივრად შეიძლება ამ სასუქში კიდევაც აწვოს ქვავის მოსავალს.

ჭარხაძს, ყველა ჯურას, კაინიტიც რგებს როგორც სასუქი და კალი ქვაც, ოღონდ ერთიც და მეორეც ადრე გაზაფხულზე უნდა მიეცეს ნახნავს.

ცერცვმაგვარ მცენარეებს შეიძლება მიეცეს კალი ქვაც (ერთი კვირით წინ დათესამდე) და კაინიტიც (შემოდგომითვე).

კაინიტი უფრო სუსტად მოქმედობს ნიადაგზე, ვიდრე კალიქვა, ხოლო კაინიტის მოქმედება გასტანს ხოლმე 2—3 წელიწადი და კალიქვა კი ჩვეულებრივ მარტო ერთი წლით მოქმედობს ნიადაგზე.

კალი ქვაც და კაინიტიც უნდა ნახანაში ჩაიხნან ან ჩაიფარცხონ 2—3 ვერშოკის სიღრმეზე.

ფოსფორნარევი სასუქები საუკეთესო არიან: სუპერფოსფატი და ტომასშლაკი.

სუპერფოსფატი. — სუპერფოსფატი არის ნაცრის ფერი ფხვნილი, რომელიც სინესტისაგან კოლტდება შენახვაში. ამიტომ ხმარების წინ სუპერფოსფატი უნდა დაიფხვნას კარვად, რომ ერთნაირად მოეფინოს ნიადაგს.

ჭაობიან, ჩამყავებულ ნიადაგებისათვის სუპერფოსფატი არ ვარგა სასუქად. არ არგებს იგი, თუ კიდევაც არ აენო, ქვიშნარებსაც, რომელთაც კირი ცოტა ურევიათ.

პირიქით, ძანა რგებს სუპერფოსფატი ქვიშნარევე (ესე იგი სადაც ქვიშა ცოტაა შედარებით), მძიმე ნიადაგებს, ხოლო არა ჩამყავებულებს.

რაც შეეხება თვით მცენარეებს სუპერფოსფატი მარგებელია ყველა მათთვის.

სუპერფოსფატი შეიძლება მიეცეს ნიადაგს ნების სასუქთან ერთად არეული და ცალკეც.

თუ იმავე ნიადაგს ჩილის გვარჯილაც ეძლევა, ჯერ უსათუოდ ერთი უნდა მიეცეს და მერე ხანი რო გავა მეორე, თორემ ორივე სასუქი ერთად რგების მაგივრად ენებას ძძლევენ მო-

სავალს. არ შეიძლება სუპერფოსფატის არევა არც კირში. კალინარევე სასუქს კი სუპერფოსფატი შეიძლება გადერიოს და ისე მოეყაროს ნიადაგს.

სუპერფოსფატი ნიადაგს უსათუოდ კვირანახევრით ან ერთი კვირით მაინც წინ უნდა მოეყაროს დათესამდე და ვერშოკნახევარ — ორ ვერშოკზე ჩაიხნას ან ჩაიფარცხოს.

ერთნელ მოყრილი სუპერფოსფატი მოქმედობს ნიადაგზე ერთიდან ორ წლამდე.

ტომასშლაკი. ტომასშლაკი არის მუქი წაბლის ფერი ფხვნილი, რომელსაც ფოსფორის სიმჟავის გარდა 40% კირი ურევია. რაც უფრო წვრილია ეს ფხვნილი ის უკეთესია.

ტომასშლაკი ძან რგებს ქვიშნარ ნიადაგებს, რომელთაც კირი ურევიათ ცოტა, აგრედვე რგებს ჭაობიანს და ტორფიან ნიადაგებსაც. ერთი სიტყვით ტომასშლაკი იხმარება იქ, სადაც სუპერფოსფატი არ ვარგობს სასუქად.

თუ შემოდგომის მოსავლისათვის უნდათ ნიადაგის გაპატივება, ტომასშლაკი უნდა მიეცეს ნიადაგს ან მაშინ როცა ნების აყრიან ან და ერთი თვით მაინც წინ დათესამდე. თუ ნიადაგს აპატივებენ გაზაფხულის მოსავლისათვის, მაშინ ტომასშლაკი უნდა შემოდგომითვე მიეცეს ნიადაგს. უნდა ტომასშლაკი ნიადაგში ჩაიხნას-ჩაიხაროს ხოლმე 2—3 ვერშოკის სიღრმეზე.

ტომასშლაკი მოქმედობს ნიადაგზე სამ წლამდე.

3. შ—ელი

სუპერფოსფატი... ტომასშლაკი... ნიადაგს... მოქმედობს... სამ წლამდე.

კვება და საკვებავები

საკვებავით მიღებულ სასარგებლო ენერჯიის რაოდენობა

იმ საკვებავიდან, რასაც ცხოველი მიიღებს, ცხოველის სხეული სარგებლობს მხოლოდ რაოდენიმე ნაწილით, დანარჩენი კი უმნიშვნელოდ მიდის. ამიტომ იმ ენერჯიიდან, რაც საკვებავეშია, ცხოველისათვის სასარგებლო ენერჯიით მხოლოდ ის უნდა ჩაითვალოს, რასაც ცხოველი გამოიყენებს. სათვალავში არ ჩავარდება:

1) ის ნაწილი საკვებავისა, რომელიც მოუნელებელი გაივლის კუჭ-ნაწლევებს და გადის სხეულიდან გარედ;

2) ის ნახშირ-წყლები, ნამეტნავად საკვებავის ხეჭეკი, რომლიდანაც როცა იგი დაიდუღებს კუჭ-ნაწლევებში, წარმოსდგება ჰაერგვარი, რომელსაც როგორც ენერჯიას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სხეულისათვის;

3) ის პროტეინები, რომელნიც იშლებიან სხეულში და შემდეგ თირკმელების საშუალებით შეადგენენ აზოტნარევ შარდს.

ეს სამივე გვარი დანახარჯი რომ გამოვაკლოთ იმ ენერჯიას, რაც საკვებავეშია, მივიღებთ სსს:რგებლდ ენერჯიას, რომლიდანაც რაოდენიმე ნაწილი საჭმლის დაღეჭვას და მოხარშვა-მონელებას უნდება და დანარჩენი კი ხმარდება თვით სხეულს—მის გულის, ფილტვების და ყველა სხვა სხეულის შიგნით მყოფ ორგანოების ამოძრავებას და მუშაობას. რაც ვადარჩება ამ საჭიროებებს, მხოლოდ ის-ღა იხარჯება სიმსუქნის წარმოდგენაზე, სხეულის

ტანის გაზრდაზე, რძისა და მატყლის გაკეთებაზე და სხვა-და-სხვა გარეშე საშუაოს ასრულებაზე.

კელნერის გამოკვლევით, მაგალითად, ყოველი 100 ნაწილი სიმინდის ფქვილის ენერჯიას, რაც ხარს ეძლევა ამ საკვებავით, აკლდება:

საჭმლის რაოდენიმე ნაწილის მოუნელებლობით 9,2⁰/₀;

საჭმლის ხარშვის დროს ჰაერგვარის წარმოდგენით, რომელსაც, როგორც სითბოს ენერჯიას, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სხეულისათვის და გამოდის სხეულიდან გარედ. 9,3⁰/₀;

იმ სითბოს დაკარგვით, რომელიც შარდს გასდევს გარედ. 3,9⁰/₀.

სულ 22,4⁰/₀.

სასარგებლო ენერჯიად რჩება 77,6⁰/₀ მთელი იმ ენერჯიისა, რაც სიმინდის ფქვილში იყო, როგორც საკვებავეში. აქედან რო გამოვიდეთ 33,3⁰/₀, რაც საჭმლის დაღეჭვაზე ზ მოხარშვა-მონელებაზე იხარჯება, დარჩება სხეულისათვის მოსახმარებლად 41,3⁰/₀ იმ ენერჯიისა, რაც სიმინდის ფქვილში იყო, როგორც საკვებავეში. Тимофеевк-ის თვიდან რჩება სხეულის მოსახმარებლად ასევე გამოანგარიშებით მხოლოდ 14,7⁰/₀, პურის ბუნემაჟისაგან—6⁰/₀.

ცხოველისათვის საჭირო საკვებავები.

ჰაერი. უპირველესად ყოველისა ცხოველი საჭიროებს ჰაერს. კინგის გამოკვლევით საქონელს უნდება შემდეგი ზომის ჰაერი:

	საათში.	დღე-ღამეში.
ცენს...	142 კ.ფ.	3401 კ.ფ. ანუ 272 გ.
ძროხას...	117 „	2804 „ — 224 „
ლორს...	46 „	1103 „ — 89 „
ცხვარს...	30 „	726 „ — 58 „

ამოდენა ჰაერის მისაცემად და მასთან ისე, რომ მას ძველი უკვე ამოსუნთქული ჰაერგვარი 3,3⁰/10-ზე მეტი არ ერიოს, საქონლის სადგურში გარედან უნდა შედიოდეს შემდეგი ზომის სუფთა ჰაერი:

	საათში.	დღე-ღამეში.
ცენს...	4296 კ.ფ.	103,104 კ.ფ.
ძროხის...	3542 „	85,008 „
ლორის...	1392 „	33,408 „
ცხვრის...	917 „	22,008 „

წყალი. ცხოველი უქმელი გაცილებით უფრო მეტ ხანს სძლებს, ვიდრე უწყლოთ. წყურვილი უძნელებს ცხოველს საკმლის დეჭვას, ჩაყობავას, მობარშვა-მონელებას. საკმელი გადასული ნაწლევში შრება, ძნელდება მისი წინსვლა, ნაწლევში რჩება დიდ ხანს, სისხლი უსქელდება ცხოველს, სიცხე ემატება და ბოლოს კვდება. როცა ცხოველს საკმარისად არ ეძლევა წყალი, მადა ეკარგება მაგარ საკმელზე, გულის რევა მოსდის და ფაღარათდება ტანში.

ნორმალურ პირობებში ცხოველი ყოველ ერთ გირვანქა ხმელ საკმელზე ერთდღივივე ზომის წყალსა სვამს ყოველთვის დაახლოებით.

კელნერის გამოკვლევით ეს ზომა არის:

ცენსისა და ცხვრისათვის	.4 — 6 გირ.
ხარისათვის	... 2 — 3 „
ლორისათვის	... 7 — 8 „

დალეული წყალი თბება სხეულის ტემპერატურამდე. ამ გათბობას ახდენს

ის მეტი სითბო, რომელიც ცხოველის სხეულში ტრიალებს ყოველთვის, ისე რომ განსაკუთრებით ამისათვის საჭირო არ ხდება სხვა ახალი საკვებავის მიღება.

ფიქრობენ რომ სხეულის ახალი ნაწილების წარმოსადგენად უფრო ის წყალი იხარჯება, რომელიც საკვებავის შემადგენელ ნივთიერებებს ურევია და არა ის, რომელსაც ცხოველი დალევს ხოლმე.

მინერალური ნივთიერებანი.

ნაცარს ანუ მინერალურ ნივთიერებებს საკვებავისას ძრიელ დიდი მნიშვნელობა აქვთ ცხოველისათვის. ეს სჩანს სხვათაშორის იქიდან, რომ როცა საქონლის რაციონს მინერალური ნივთიერება ცოტა ურევია, ცხოველს უპირველესად ყოვლისა ეშლება ნერვები, სუსტდება ძარღვებში, კუნთები უთრთის, იკრუნჩხება და ყველა ამ მიზეზებისა გამო უფრო ადრე კვდება, ვიდრე მას შიმშილი მოკლავდა. სისხლში ბლომად არის ჩვეულებრივი საკმელი მარილი და აგრედვე ნატრის სხვა მარილებიც; სისხლის წითელი ბუშთები მდიდარნი არიან კალით; ნერვები და უჯრედების გუნდები — ფოსფორით; ძვლები ჩონჩხისა უმთავრესად შემდგარნი არიან ფოსფორთან შეერთებულ კალცისაგან ანუ კირისაგან; მკვებადის წამლებ-წამომღები გემოგლობინი სისხლში შესდგება სისხლის წითელი ბუშთების რკინანარვე ცილათაგან; თუ კალცი დააკლდა სისხლს, მას აღარც შესქელება შეუძლიან და აღარც შედედება; პეპსინი კუჭში მოქმედობს მხოლოდ სიმეჯვის, მომეტებულად მარილის სიმეჯვის, ზედგავლენით და სხვ.

სამზვარეულო მარილი, კირი და ფოსფორი ისე ბლომად სჭირდება ცხოველს, რომ როცა ეს მარილები ცოტა ურევია საკვებას, უსათუოდ უნდა დაემატოს, თუ გვინდა რომ რაციონმა სასურველი შედეგი მოგვცეს.

კირი და ფოსფორი. ვისკონსინის სადგურის გამოკვლევით სხეულის ჩონჩხი წარმოადგენს იმ ბედელს, სადაც ცხოველისათვის საჭირო მინერალური ნივთიერებანი ინახებიან და ხმარდებიან სხეულს, როცა მას საკმარისი საზრდო არ შემოსდის გარედან.

როცა საჭიროა ძვალი აძლევს სხეულს თავის შემადგენელ ნივთიერებას. მაგრამ ამასთანავე თვით ფუტუროვდება და ადვილად გასატეხი ხდება.

სადაც მინდვრის ბალახებსა და თივას ცოტა კირი და ფოსფორი ურევია, იქ ცხოველების ჩონჩხს მარილ-ნაკლებობა ეტყობათ, მეტადრე მაშინ, როცა გოლივანი წელიწადია და ბალახეულ მცენარეების ფესვებს უძნელდებათ გაკორახებულ ნიადაგიდან კირისა და ფოსფორის შეთვისება. ამისთანა პირობებში ცხოველებს პირველ შეხედვით თითქო რაღაც უმიზეზოთ ძრიელ ადვილად ემტვრევათ ძვლები და შესამჩნევი ზარალი მოსდით მათ პატრონებს.

კირისა და ფოსფორის ნაკლებობას უფრო იმჩნევენ მაკე მოსაგები ცხოველები, რადგან ნაყოფის გაზრდა მათ გვამში ბევრს კირსა და ფოსფორს თხოულობს, და აგრედვე მოზარდი საქონელი, რომელთ ჩონჩხი ჯერ ისევ ზრდაშია და შედარებით დიდი ზომის მასალას ითხოვს თავისთვის.

ფლიტის გამოკვლევით კირ-ნაკლები საჭმელი იწვევს მოზარდ ცხოველ-

ში სახსრების გასქელებას, ფეხების დაცრებას, ზურგის ჩაზნექას, კბილების სირბილეს და ყველა ამ მიზეზებისა გამო მთელი სხეულის დასუსტებას.

გოჭები უფრო მეტად იმჩნევენ კირ-ფოსფორის ნაკლებობას ვიდრე ხბორები ან კვიცები, რადგან ესენი უფრო ადვილად ჰპოვებენ ამ მინერალურ ნივთიერებებს თივასა და სხვა მოუხეშავ მცენარეულ საჭმელებში.

Ingle-ს გამოკვლევით სიმინდი, შვრია, ხორბალი პურისა, ქერი, ბოლოკი, თალგამი, ქარხალი, სიმინდის ფუჩიჩი, ბზე და სხვა ჩვეულებრივ ფოსფორს მეტს შეიცავენ უფრო ვიდრე კირს. სამყურა ბალახის თივაში, იონჯაში, ცერცვში, უგრებელა ბალახში და სხვა მათმაგვარ მინდვრის ბალახებში და ცერცვაგვარ მცენარეებში კირი უფრო მეტია ვიდრე ფოსფორი. ამიტომ ამ ორივე გვარი საკვებაეების შეზავება უფრო უკეთესად მოქმედობს ცხოველებზე, ვიდრე თითოეული მათგანის ცალკე მიცემა.

მარილი. ყველამ კარგად ვიცით როგორი სიხარბით სჭაჰს საქონელი მარილს. სხვადასხვა გამოკვლევებიდან სჩანს, რომ მარილი აგემრიელებს საჭმელს, ბლომად იწვევს ჯირკვლებიდან გამონადენ საჭმლის სახარშავ წვენებს, უღვიძებს ცხოველს მადან და საზოგადოდ ადვილებს საჭმლის ხარშვა-მონელებას.

ცხოველი თავისუფლად მიშვებულ მარილზე ლოკავს მას რამდენსაც შეირგებს, ხოლო თუ მლაშე საჭმელი ვაძლიეთ ვანგებ, მაშინ კი შეიძლება მარილი მეტი მოუვიდეს და აწყინოს კიდევაც, მეტადრე თუ წყალიც საკმა-

რისი არ ექნა რომ დალიოს. ეს წყენა იმაში გამოიხატება, რომ მარილნაკვამ საქონელს შარდი ბლომად უკეთდება, წყალს ბევრს კარგავს და თუ ამ დანაკარგის აღსადგენად წყალი არა აქვს საკმარისი რომ დალიოს, თირკმელები პროტეინს შლიან ზედმეტად და სხეული კლებაში შედის. უმარილობას ცხოველები არ იმჩნევენ მაგრამ

რიგად, თუ ძალიან დიდი ხანი (წელიწადი და უფრო მეტი) არ დარჩენენ მარილ უჭმელნი.

საქონელი მალე ეჩვევა წესრიგზე კმევას. ამიტომ ყოველი ცვლილება საქმლის მიცემაში უნდა თანდათანობით მოხდეს და არა ერთბაშად, რომ ენება არ მიეცეს.

ლონდონის ბაზარი

ლორის ჯაგარი

ლონდონის აგენტურა ამით აუწყებს ჩვენს მეურნეთ, რომ მან დაიჭირა საქმე ინგლისის უდიდეს კოოპერატიულ ჩოქების მკეთებელ ქარხანასთან.

ქარხანას სკირდება წლიურად არა ნაკლებ 20,000 მანეთის ჯაგარი, რომელიც უმეტეს ნაწილად რუსეთიდან და პოლონეთიდან შემოდის.

თუმცა ჩვენებური ჯაგარი არ არის ძლიერ კარგი ღირსების, მაგრამ თუ პირიან ფასებში იქმნა გამოგზავნილი, უსათუოდ გასაღდება.

ჯაგარი უნდა იყოს უმეტეს ნაწილად თეთრი ფერის (არა უშავს-რა სხვა ფერებსაც), გრძელი და მაგარი.

ჩვენებური ჯაგარი არ არის გადარჩეული და ხშირად ევროპაში ტალახიანს და არეულს გზავნიან, რითაც სახელს უტეხენ საქონელს.

ჯაგრით ვაჭრობა ჩვენში უმეტეს ნაწილად ჩარჩების ხელშია, რომელნიც სოფელ-სოფელ დადიან და კიტრის ფასად ყიდულობენ და მერმე კი მამასისხლად ყიდიან.

რომ ჩარჩების თარეშობას ბოლო მოეღოს, ურჩევთ ჩვენებურ მეურნეებს შეადგინონ კოოპერაცია და შეისყიდონ

გლებებიდან ჯაგარი, გასწმინდონ და გადაარჩიონ. გადარჩეული ჯაგარი უფრო მეტ ფასებში გაიყიდება და ხელსაყრელიც იქნება. თუ გადარჩევას დაიხარებენ, მაშინ გადურჩეველიც შეიძლება, მაგრამ ნაკლებ ფასებში კი გაიყიდება. ყოველ შემთხვევაში აქაური ფასები მანდაურზე მეტი იქნება.

ეს საქმე ძლიერ სერიოზული და მომგებიანია და საჭიროა რომ მკოდნეკაცები ჩაუდგნენ სათავეში, თუ კოოპერაცია დაარსდება.

თუ კოოპერაციის დაარსებას ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხებენ, მაშინ ურჩევთ კერძო მეურნეებს იკისრონ ეს საქმე.

კოოპერატიული ქარხანა, რომელთანაც „მოსავალი“-ს აგენტურას აქვს საქმე, აიღებს გადურჩეველ ჯაგარსაც, მაგრამ უნდა იყოს ტალახიდან და სისხლიდან გაწმენდილი და სიგრძეზე შეკრული. ჯაგარი უნდა იყოს შეკრული კონებათ, თითო კონა ერთ გირვანქაზე ნაკლებს არ უნდა იწონიდეს, კონები უნდა იყოს ჩაწყობილი კასრებში (ბოჭკებში), თითო ბოჭკა უნდა იწონიდეს არა ნაკლებ სამი ფუთისა.

ბოჭკებში ჩალაგებული საქონელი უნდა ჩამოტანილ იქმნეს ტფილისში



და „მოსავალი“-ს გან დანიშნულმა ექსპერტმა უნდა გაშინჯოს და ტელეგრაფით გვაცნობოს, რომ საქონელი კარგია, რის შემდეგაც „მოსავალი“-ს რედაქციას გამოეგზავნება ფული პატრონზე გადასაცემად.

საქონელი ჩვენი ხარჯით იქნება გამოგზავნილი.

როგორც ხედავთ პირობები ძლიერ ხელსაყრელია და ვისაც საქონელი აქვს უნდა ხელი მოკიდოს.

მსურველთ ვთხოვთ გამოგზავნონ „მოსავალი“-ს რედაქციაში ფოსტით ერთი ან ორი გირვანქა ჯავარი კარგი ღირსების, აგრედვე მოიწერონ თუ რამდენი ფუთის შოგენა შეუძლიან და რამდენ ხანში ჩაგვაბარებენ ტფილისში. აგრედვე გვაცნობონ ფასები თითო ფუთზე. ეს ორი გირვანქა სანიმუშო იქნება.

აგენტურა მზად არის მსურველთ მიაწოდოს დაწვრილებითი ცნობები ამ

საქმეზე და ყოველნაირად ხელი შეუწყოს.

დროა გამოირეიდონ ჩვენმა მეურნეებმა და თავი დააღწიონ ჩარჩებს. აგენტურა საშუალებას აძლევს დაუახლოვოს ევროპის ბაზარს და უფრო მეტს ფასებში გაუყიდოს ნაწარმოები.

დღეს ჩვენში ჯავარს ჩარჩები ყიდულობენ, ისინი დიდ ვაჭრებზე ყიდიან ტფილისში, ტფილისელი ვაჭრები ადესაში ყიდიან ვაჭრებზე, ადესელები გზავნიან ლეიპციგში (გერმანია), ლეიპციგიდან საქონელი ჩამოდის ლონდონის ქარხნებში. ამნაირად სანამ საქონელი მექარხნესთან მოვიდოდეს, ოთხი ხელი უნდა გაიაროს და ძლიერ გაძვირდეს. აგენტურა ჩვენს მეურნეს პირდაპირ ლონდონის ქარხნებთან შეერთებს და მოგებას მოუმატებს.

„მოსავლის“ ლონდონის აგენტურა
 ლონდონი. 23 თებერვალი
 7 მარტი.

საეურნეო ცნობები

ყაბზობის წინააღმდეგი საშუალება. როცა ყაბზად არის შინაური საქონელი უნდა ხელის თესლი გამოხარშოთ კარგად და სამი-ოთხი ბლთლი ამ ნაწარმისა დააღვეინათ.

ან უნდა სამი მეოთხედი გირვანქა გლაუბერის მარილი გახსნათ ხუთ სტაქან წყალში და ეს დაეღვეინოს საქონელს (ჩაასხათ ძალათ ხახაში). თუ რვა საათის განმავლობაში არ გასჭრა, წამალი უნდა განმეორებით დაეღვეინას.

ან უნდა გამოხარშოთ თხუთმეტი მისხალი თაბაკო სამ ბოთლ წყალში, გადასწუროთ წმინდად, მიუმატოთ ნაზარს თორმეტი მისხალი საშვარეულო მარილი და დააღვეინოთ საქონელს. გამეორება ამ წამლისა, თუ არ გასჭრა, შეიძლება ერთხელ კიდევ, მხოლოდ ოცდაოთხი საათის შემდეგ.

რა ხნისა უნდა გახდეს საქონელი, რომ სამაკებლად გაიშვას. დეკეული პირველად

შეიძლება ამაკებინოთ როცა 16—18 თვისა გახდება. ორ წლამდე რომ დასცალდეს უკეთესია, ხოლო ამაზე მეტად დაგვიანება კი აღარ ევარგება.

საუკეთესო დრო ბუღას აქვს ჩვეულებრივ როცა 5—6 წლისა, იშვიათად 8—10 წლამდე. ულაცი ცხენის აშვება ფაშატზე უნდა მოხდეს როცა ულაცი 4—5 წლისა შეიქმნება.

კარგი ჯიშის ცხენი მუშაობს 20 წლამდე და მეტსაც.

ტახი ღორი უნდა იყოს 12—14 თვისა, დედალი 14—17 თვისა, რომ სამაკებლად გაუშვათ პირველად.

	რამდენ ხანს იღვენება საქონელი.	თუ ვერ იშაკა მეორედ დაიწყებს დენას დღის შემდეგ.
ფაშატი ცხენი	24—36 საათს.	7—10
ძროხა	24—36	16—29
ცხვარი	24—36	14—21
ღორი	30—48	21—42
თხა	24—36	—

რამდენი დედალი უნდა მიეცეს მამალს მოსავლედად

	თავისუფლად გაშვებული.	ხელით დაქვრილი.
ულაყ ცხენს	25—30	40—50—80
ბუღას	30—40	60—75—150
ცხვარს	30—35	80—100—120
თხას	40—60	— — —
ღორს	10—15	20 — 30 თვეში 50 — 60 წელიწადში.

უკეთესი დრო სამაკებლად

ფაშატი ცხენისთვის	აპრილ—შაისი
ძროხისათვის	თიბათვე—მკათათვე
ღორისათვის	მარტი
თხისათვის	დვინობისთვე—გიორგობა

რამდენ ხანს არიან ცხოველები მაკენი

ცხენი	330—419 დღე
ძროხა	240—321 ”
ცხვარი	146—158 ”
ღორი	109—133 ”
ძაღლი	63—65 ”
კატა	50—60 ”
თეთრი კურდღლი	— 30 ”

რამდენ დღეზე სჩეკავს შინაური ფრინველი კვერცხებს

ქათმის კრუხი	21 დღეზე
ინგი	26—28 ”

ბატი	30 ”
ინდოური	29 ”
ცეცარკი	26—27 ”
მტრედი	17 ”

როგორი სითბო უნდა საქონელს. სიცივეში საქონელი შედარებით ბევრს სჭამს და ნაკლებს კი იწველის, ნაკლებად სუქდება, მალე იღლება მუშაობაში, ქათმები უკლებენ კვერცხის დებას და სხვა და სხვა.

ის ხარჯი, რაც საქონლის სადგურის გათბობაზე იხარჯება, ერთ მრავალჯერ ანაზღაურდება ხოლმე იმ უნარით, რომელსაც საქონელი ჰკარგავს როცა სცივა.

არც ზომზე მეტი სითბო უხდება საქონელს. რქიანი საქონლისათვის ზომიერი ტემპერატურა არის: მეწველი ძროხისათვის 10-დან 14 გრადუსამდე, მუშა საქონლისათვის 8°—12°, საკლავებისთვის 8°—11°.

ცხენებისათვის 10°—14°; ცხვრები თხოულაზენ 8°—10°, ხოლო გაპარსვის შემდეგ პირველ 2—3 კვირაში კი 14 გრადუსამდე. ღორებისათვის ზომიერი ტემპერატურა არის 10°—12°.

მიიღება ხელის-მოწერა

ჟურნალ „მოსავლე“ 1912 წლისათვის მარტო ტფილისში.

რედაქცია ეცდება წლის თავზე ძვირფასი პრემია მიაწოდოს ხელის-მომწერლებს. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ წარსული წლების „მოსავალი“.

მთელი კომლექტი 1909 წლისა უყდო	1 მან. 50 კ.,	ყდაკაზმული 2 მ. „ კ.
„ „ „ 1910 „ „ „	2 მან. — „	ყდაკაზმული 2 „ 50 ”
„ „ „ 1911 „ „ „	2 მან. 50 კ.,	ყდაკაზმული 3 „ — ”

რედაქციის გამოცემანი: კანონი მევენახე-მეღვინეთა კომიტეტების შესახებ 15 კ., იონჯა—5 კ., ბამბა—5 კ., კართოფილი—5 კაპ.

რედაქციაშივე იყიდება შემდეგი გამოცემანი:

არითმეტიკული კრებული—50 კ., ქიმია პროფ. როსკოსი—30 კ., შვეიცარიის ძირითადი კანონები და საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულიდან—25 კ.

რედაქცია-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე